ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-63. 632333823**

თარიღი:**04/12/2023**

,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63.632235524 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის ,,ტ"-ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განიხილა ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63.632235524 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.შეტანილ იქნას ცვლილება ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63. 632235524 განკარგულებაში;

2. ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63. 632235524 განკარგულების დანართები N1; N2; N4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

დანართი N1

შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს 2023 წლის შემოსავლების გეგმა

N	შემოსავლების დასახელება	თანხა (ათას ლარებში)
I	**სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან**	**704.8**
II	**საკუთარი შემოსავალი მათ შორის**	**23,00**

1	საცურაო აუზის სააბონემენტო შემოსავალი	20,00
2	დარბაზის გამოყენება	0,30
3	მასაჟიდან მიღებული შემოსავალი	0,20
4	ცენტრალური საფეხბურთო მოედნის გაქირავებით მიღებული შემოსავალი	2,50
	სულ ჯამი	**727.8**
5	**2019 წლის აუთვისებელი ნაშთი**	**5,00**

დანართი N2

შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს 2023 წლის ხარჯი ათას ლარებში:

ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	ცვლილება	დაზუსტებული სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	საკუთარი შემოსავლები	ცვლილება	დაზუსტებული საკუთარი შემოსავლები
	05 01 02 05	შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"	727.80	689,40	15.40	704.80	23,00	0,00	23,00
2		ხარჯები	710.45	671,40	18.05	689.45	21,00	0,00	21,00
2.1		შრომის ანაზღაურება	398,40	380,70	14,70	395,40	3,00	0,00	3,00
2.2		საქონელი და მომსახურება	308.16	285,70	4.46	290.16	18,00	0,00	18,00
2.7		სოციალური უზრუნველყოფა	3,89	5,00	-1,11	3,89	0,00	0,00	0,00
31		არაფინანსური აქტივების ზრდა	17,35	18,00	-2,65	15,35	2,00	0,00	2,00
31.1		ძირითადი აქტივები	17,35	18,00	-2,65	15,35	2,00	0,00	2,00

დანართი N4

შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მომსახურების ტარიფები

1. საცურაო აუზის მომსახურების ტარიფები:

1.1. ერთი საათით ერთჯერადი მომსახურების ტარიფები:

ა) მოზარდებზე 6 წლის ასაკიდან 16 წლის ჩათვლით 5 ლარი.

ბ) მოზრდილებზე 16 წლის ზემოთ 8 ლარი.

1.2. საცურაო აუზის სააბონემენტო მომსახურების ტარიფები;

ა) 16 წლამდე ასაკის 12 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 30 ლარი. (დღეში ერთი საათი).

ბ) 16 წლის ზემოთ ასაკის მოზრდილების 12 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 60 ლარი. (დღეში ერთი საათი).

გ) 16 წლამდე ასაკის 20 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 50 ლარი. (დღეში ერთი საათი).

დ) 16 წლის ზემოთ ასაკის მოზრდილების 20 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 100 ლარი. (დღეში ერთი საათი).

ე)**ტარიფი-დედმამიშვილები** 2 ბავშვის შემადგენლობით 12 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 45 ლარი; (დღეში ერთი საათი).

ვ) **ტარიფი-დედმამიშვილები** 2 ბავშვის შემადგენლობით 20 საათიანი მომსახურება 80 ლარი. (დღეში ერთი საათი).

2 ბავშვზე მეტი თითოეული დედმამიშვილის შემთხვევაში ტარიფს ემატება 10 ლარი.

ზ) **ტარიფი-საოჯახო:** 3 წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის 12 საათიანი მომსახურება 100 ლარი; (დღეში ერთი საათი).

***3 წევრზე მეტი ოჯახის თითოეული წევრის შემთხვევაში ტარიფს ემატება 10* ლარი.**

თ) **ტარიფი-კორპორატიული**: 5 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფისთვის 12 საათიანი მომსახურება 250 ლარი. (დღეში ერთი საათი).

5 წევრზე მეტი ადამიანის შემთხვევაში თითოეულ წევრზე ტარიფს ემატება 10 ლარი.

ი) **ტარიფი-სოციალურად დაუცველთა (120000-ზე ნაკლები ქულის მქონე) და ყველა შ.შ.მ. პირთათვის: ყველა პაკეტზე 50%-იანი შეღავათი. (დღეში ერთი საათი).**

ყველა სახის აბონემენტით მოსარგებლე მომხმარებლისთვის აბონემენტის მოქმედების ვადაა 30 დღე.

1.3. ცურვის შესწავლის ტარიფი:

ა)ცურვის შესწავლის ერთსაათიანი გაკვეთილი 8 ლარი.

2. მასაჟის ერთჯერადი მომსახურება 10 ლარი.

3. სათადარიგო სპორტული მოედნის გამოყენების ტარიფი 1 საათით 200 ლარი.

4. სპორტული დარბაზის 1 საათით ერთჯერადი მომსახურების ტარიფი ერთი ადამიანისთვის 5 ლარი.

5. ეროსი მანჯგალაძის სახელობის ცენტრალური საფეხბურთო მოედნის ერთი საფეხბურთო მატჩის განმავლობაში გამოყენების ტარიფი 2500,00 ლარი.

საფეხბურთო კლუბი ,,სამტრედია“ და ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის

მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა“ გათავისუფლებულია მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით დაწესებული ტარიფების გადახდისაგან.

3. ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის

№63. 632235524 განკარგულებას დაემატოს დანართი N5, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დანართი N5

2019 წლის ნაშთის განაწილება:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	**ხარჯები**	**2019 წელს შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესანარჩუნებელი ნაშთი**
	ჯამი	**5000**
3.1	**არაფინანსური აქტივები**	**5000**
3.1.1.2	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	5000

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი